პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ★ გამოცემის 33-ე წელი

№ 215 (9375) | ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

კომუნისტი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აქტიური მებრძოლია — „პრავდის“ 9-IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

დეპეშების გაცვლა ი. ბ. სტალინსა და ვილკო ჩერვენკოვს, ნ. მ. შვერნიკსა და გიორგი დამიანოვს, ა. ი. ვიშინსკისა და მინჩო ნეიჩევს შორის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ნაციონალური დღესასწაულის გამო (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. ქუთაისის საოლქო პარტიული კონფერენცია. საქართველოს კ.პ.(ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

ბულგარეთის განთავისუფლების მერვე წლისთავის აღსანიშნავად სოფიაში გამართული საზეიმო კრების მონაწილეთა წერილი ამხანაგ ი. ვ. სტალინს (მე-3 გვერდი).

ფართოვდება შეჯიბრება XIX კონგრესის აღსანიშნავად. ბ. ვაჭარაძე — ლენინის სახელობის შახტში (მე-3 გვერდი).

საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მერვე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება სოფიაში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

კომუნისტი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის აქტიური მებრძოლია

ლენინ-სტალინის პარტია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის მთელი მუშაობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. თავის საქმიანობაში იგი ეყრდნობა საბჭოთა ხალხის უსაზღვრო ნდობასა და მხარდაჭერას.

„არც ერთ პარტიას,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — არა ჰქონია და არა აქვს ისეთი ავტორიტეტი ხალხის მასებში, როგორიც ჩვენს ბოლშევიკურ პარტიას აქვს. და ეს გასაგებია. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მოიპოვეს თავისუფლება და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება“.

კომუნისტური პარტია მებრძოლი თვითმოქმედი ორგანიზაციაა, რომელიც აქტიურად აზროვნებს, ცხოვრობს ცოცხალი ცხოვრებით, ანგრევს ძველს და ქმნის ახალს. ჩვენი პარტიის ძალაა მისი რიგების ერთიანობა და დარაზმულობა, პარტიული მასების აქტივობა. პარტია დაუცხრომლად ზრუნავს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, მათი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისათვის, კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების განვითარებისათვის. იგი პარტიის წევრს ზრდის პარტიის საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. ყველგან — საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში — კომუნისტები არიან მასების ორგანიზატორები პარტიის პოლიტიკის განხორციელებისა და მის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი პარტიის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები მოითხოვენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის განუხრელ ამაღლებას, პარტიული მასების აქტივობის შემდგომ ზრდას, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას. თვითეული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, მისი კავშირი მასებთან, მისი გავლენა მშრომელთა ფართო მასებზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურად მონაწილეობენ პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში პარტიის წევრები და კანდიდატები.

ჩვენი პარტიის ორგანიზატორები და ბელადები ვ. ი. ლენინი და ი. ვ. სტალინი გვასწავლიან, რომ კომუნისტური პარტიის წევრად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვინც მუშაობს თავის პარტიულ ორგანიზაციაში, ვინც, მაშასადამე, თავის მოვალეობად თვლის თავისი სურვილები შეუერთოს პარტიის სურვილებს და იმოქმედოს პარტიასთან ერთად.

„პარტია,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—არ არის მარტოოდენ თანამოაზრეთა კავშირი, იგი, გარდა ამისა, არის თანამოქმედთა კავშირი, მებრძოლი კავშირი თანამოქმედთა, რომლებიც საერთო იდეური ბაზის... საფუძველზე იბრძვიან“.

კომუნისტური პარტიის წევრად ყოფნა ნიშნავს მთელი ძალები, ცოდნა და უნარი მოახმარო კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს. კომუნისტმა თვითეული თავისი ნაბიჯი უნდა დაუმორჩილოს საერთო საქმის ინტერესებს, პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წარადგინა პარტიის XIX ყრილობის განსახილველად, შეიცავს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას კომუნისტისადმი: იყოს აქტიური მებრძოლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

„პარტიის წევრისათვის, — ნათქვამია პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში,—საკმარი არის მარტო ის, რომ ეთანხმებოდეს პარტიულ გადაწყვეტილებებს, პარტიის წევრი მოვალეა იბრძოდეს ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნისტების პასიური და ფორმალური დამოკიდებულება პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ასუსტებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან“.

კომუნისტური პარტიის წევრის მაღალი წოდება კომუნისტს ავალებს გულმოდგინედ განახორციელოს პარტიის პოლიტიკა და მისი გადაწყვეტილებანი. პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა ღირსების საქმე, უმაღლესი პარტიული მოვალეობის საქმე უნდა იყოს პარტიის წევრისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა რიდია პარტიის ისეთი წევრი, რომელიც ფორმალურად, პასიურად ეკიდება პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, არ იღებს აქტიურ მონაწილეობას პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ეს დიდი ბოროტებაა, რომელსაც გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ.

რაიონულ, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, დელეგატები სამართლიანად აკრიტიკებენ იმ კომუნისტებს, რომლებიც ჯეროვან აქტივობას და სიმტკიცეს ვერ იჩენენ მინდობილი საქმის შესრულებაში, თავს არიდებენ პრაქტიკულ მუშაობას პარტიის დირექტივების, უმაღლესი პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, რითაც არღვევენ პარტიულ დისციპლინას.

კემეროვოს ოლქის სტალინსკის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდნენ მთელ რიგ სამეურნეო მუშაკთა არასწორ დამოკიდებულებას პარტიული გადაწყვეტილებებისადმი. კერძოდ, საქმე ეხებოდა იმას, რომ ტრესტ „სტალინსკპრომსტროის“ მმართველი ამხ. სიცკო და ტრესტ „კუზნეცკტიაუსტროის“ მმართველი ამხ. გარბუზოვი სისტემატურად არ ასრულებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების საქმიანობას. ამის შედეგად ორივე ტრესტი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ვერ ასრულებს მიცემულ გეგმებს.

ასეთი ფაქტები სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიც არის. გორკის ოლქის ბორის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ლაპარაკობდნენ, მაგალითად, იმის შესახებ, რომ საქალაქო კომიტეტის მდივნები და ბიუროს წევრები ჯეროვან დასკვნებს არ აკეთებენ კრიტიკიდან, არ იღებენ ქმედითს ღონისძიებებს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საქალაქო კომიტეტი სუსტად ზრდიდა ხელმძღვანელ კადრებს მინდობილი სახელმწიფო დავალებებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით, საკმაოდ არ ებრძოდა უდარდელობისა და თვითდამშვიდების განწყობილებებს. იღებდა რა გადაწყვეტილებებს პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, საქალაქო კომიტეტი არ განამტკიცებდა ამ გადაწყვეტილებებს ორგანიზატორული მუშაობით, არ ახორციელებდა ყოველდღიურ კონტროლს მათი შესრულებისადმი.

სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა—ასეთია უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენი პარტია უყენებს თვითეულ მუშაკს, თვითეულ კომუნისტს რა პოსტზეც უნდა იყოს იგი. მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება, სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას პრაქტიკულ მუშაობაზე მის განსახორციელებლად. პარტიული ორგანიზაციის ამოცანა ის არის, რომ ამ საქმეში ჩაებას პარტიის ყველა წევრი და კანდიდატი.

პარტიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პრაქტიკულ მუშაობაში კომუნისტების მონაწილეობა ხელს უწყობს მათს ზრდას, უნერგავს მათ ორგანიზატორულ ჩვევებს. შესრულების კარგად მოწყობილი შემოწმება ხელს უწყობს პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცებას, აძლიერებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის კომუნისტის პასუხისმგებლობის გრძნობას. საჭიროა შემოდგომ შემოწმება შევუხამოთ ქვემოდან შემოწმებას, ამ სამუშაოში ჩავაბათ კომუნისტების ფართო მასები.

კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სიძნელეებთან ბრძოლაში, სიძნელეთა გადალახვაში. სამწუხაროდ, ბევრი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად არ ზრუნავს პარტიის წევრებისა და კანდიდატების აქტივობის გაძლიერებისათვის. ნოვოტულსკის ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე აღინიშნა, რომ კომუნისტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, არა აქვს პარტიული დავალებები. კომუნისტებთან აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებამ ის გამოიწვია, რომ მათ შორის ვხვდებით პარტიული და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს.

პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობაა ყოველდღიურად მუშაობდეს თვითეულ კომუნისტთან, ეხმარებოდეს მას იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, ასწავლიდეს გაბედულად და მტკიცედ გადალახოს სიძნელეები, უნერგავდეს ახლის გრძნობას. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არც ერთი კომუნისტი არ ედგეს განზე პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის, პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

პარტია კომუნისტისაგან მოითხოვს, რომ იგი ყველგან და ყველფერში იჩენდეს შემოქმედებიან ინიციატივასა და თაოსნობას, უჩვენებდეს შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს, შეურიგებლად იბრძოდეს ყოველივე ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, აქტიურად უჭერდეს მხარს ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. იყო კომუნისტი — ეს ნიშნავს ყოველდღიურად განამტკიცებდე კავშირს მასებთან, დროზე ეხმაურებოდე მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, განუმარტავდე უპარტიო მასებს პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა აზრს, გახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა ხალხთან მისი სისხლხორცეული და განუყორელი კავშირია.

პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი კომუნისტს აკისრებს მოვალეობას ავითარებდეს თვითკრიტიკასა და კრიტიკას ქვემოდან, ავლენდეს ნაკლოვანებებს „მუშაობაში და იბრძოდეს მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდეს პარადული კეთილდღეობისა და მუშაობაში წარმატებებით დაკმაყოფილების წინააღმდეგ. მხოლოდ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში შეიძლება სწორად აღიზარდონ და გამოიწრთონ ჩვენი კადრები, ყველა კომუნისტი.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ახალი გრანდიოზული ამოცანების მიხედვით პარტია ადიდებს მოთხოვნებს თავისი წევრებისადმი. კომუნისტური პარტიის წევრის სახელწოდება კიდევ უფრო მაღლა უნდა იქნას აყვანილი. ეს არის ჩვენი პარტიის რიგების შემდგომი განმტკიცების, მისი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების საწინდარი.

„პრავდის“ 9/IX მოწინავე.

ДЕПЕШИ ИОСИФА СТАЛИНА, ВИЛКО ЧЕРВЕНКОВА, НИКОЛАЯ МИХАЙЛОВА, АЛЕКСАНДРА ВИШИНСКОГО И МИНЧО НЕЙЧЕВА

ГЕНЕРАЛЬНОМУ СЕКРЕТАРЮ ЦК КПСС ТОВАРИЩУ СТАЛИНУ

Болгарская Народная Республика отмечает восьмую годовщину своего освобождения от фашистского ига. Трудящиеся Болгарской Народной Республики, руководимые Коммунистической партией, под мудрым руководством Болгарской Рабочей партии (коммунистов) и ее руководителя, дорогого товарища Димитрова, с большим подъемом отмечают свой национальный праздник.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ქუთაისის საოლქო პარტიული კონფერენცია

ქუთაისის მეორე საოლქო პარტიული კონფერენციამ, რომელიც 7-8 სექტემბერს მიმდინარეობდა, ცხადყო ოლქის კომუნისტების მტკიცე გადაწყვეტილება — ბოლომდე აღმოფხვრან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დანერგილი მანკიერი სტილით მუშაობის შედეგები, დარაზმონ მთელი ძალები იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს დაუსახეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად დიდმა სტალინმა.

კონფერენციამ დიდი აღფრთოვანებით, მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით.

ერთხმად მტკიცდება კონფერენციის დღის წესრიგი:

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის ანგარიში; საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის საოლქო კომისიის ანგარიში; სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვა; პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვა; საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

— ქუთაისის მეორე საოლქო კონფერენცია,—თქვა ამხ. მ. ბალავაძემ, — შეიკრიბა უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის დღეებში, აღმავლობისა, რომელიც გამოიწვია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ 1952 წლის 5 ოქტომბერს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მორიგი XIX ყრილობის მოწვევის შესახებ.

ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობის მოწვევა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში. ყრილობა შეაჯამებს ბოლშევიკური პარტიის მიერ მოპოვებულ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებს და დასახავს ჩვენი შემდგომი წინსვლისა და გამარჯვების პროგრამას.

მნიშვნელოვანი მიღწევებით ხვდებიან პარტიის XIX ყრილობას მთელ ქართველ ხალხთან ერთად ქუთაისის ოლქის მშრომელებიც.

ამხ. ბალავაძე ლაპარაკობს საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საოლქო პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობაზე და აღნიშნავს, რომ მთელი პარტიული მუშაობა განისაზღვრებოდა და წარიმართებოდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით.

საოლქო პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში. მოკლე დროში კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ დატაცებული საზოგადოებრივი მიწები 14.730.483 მანეთი დებიტორული დავალიანება, 3.248 ცენტნერი მარცვალი, 817 ცენტნერი მეცხოველეობის პროდუქტები და სხვ. მკაცრად დაისაჯნენ ის პირნი, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დანაშაულებრივ დარღვევებში. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ოლქის კოლმეურნეობების პატრონსანი და საქმის მცოდნე ხელმძღვანელი კადრებით განმტკიცებისათვის. ეს მუშაობა ჩვენ მომავალშიც არ უნდა შეგანელოთ. კადრების სწორად შერჩევასთან და განაწილებასთან ერთად საჭიროა დროზე გამოვავლინოთ მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და ვიბრძოლოთ მათი გამოსწორებისათვის.

მომხსენებელი, ეხება რა ქუთაისის ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობას, აღნიშნავს, რომ ოლქის საწარმოებმა მიმდინარე წლის 7 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. კარგად იმუშაეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ, ქუთაისის აბრეშუმკომბინატმა, რიონჰესმა, საგუმბრინმა, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკამ, სამტრედიის აგურ-კრამიტის ქარხანამ, ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ, ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატმა, წულუკიძისა და სამტრედიის ძაფსახვევმა ფაბრიკებმა, ზუგდიდის საკონსერვო ქარხანამ და სხვ.

მაგრამ მიღწევები უფრო მეტი იქნებოდა, ყველა საწარმოს, ყველა მუშას წარმატებით რომ შეესრულებინა სახელმწიფო დავალება, ჩვენს ოლქში რომ არ იყვნენ ჩამორჩენილი საწარმოები. სახელმწიფო დავალებას სისტემატურად ვერ ასრულებს ოლქის 77 ქარხანა და ფაბრიკა, მათ შორის საქბარიტის მაღაროთა სამმართველო, ლიტოპონის ქარხანა, ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხანა, ეკლარ-კვახჩირის საშენი ქვის წარმოება, კურსების გრანიტის საწარმო და სხვ.

მომხსენებელი ცალკე მიმოიხილავს მარგანეცის, ქვანახშირის, ენერგეტიკის, ფეროშენადნობთა საწარმოების მუშაობის შედეგებს, და აღნიშნავს მათს საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ტყიბულქვანახშირის ტრესტი, — ამბობს მომხსენებელი, — უკანასკნელ დროს თვითდაშვიდებას მიეცა და მუშაობა გაუარესა. ტრესტისა და შახტების ხელმძღვანელები ცუდად მუშაობენ ციკლური გრაფიკის დანერგვისა და სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამხ. ბალავაძემ მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელობა (მმართველი ამხ. ვ. გოგუა), რომელიც არასაკმაო დახმარებას უწევს ტრესტს.

ამხ. ბალავაძე განსაკუთრებით ჩერდება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაობაზე და ამბობს, რომ ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით მუშაობს ავტომანქანის ცალკეული დეტალების სრულყოფისათვის და ცდილობს კიდევ უფრო მეტად გაუთქვაფ სახელი ქუთაისის მარკის ავტომობილს. ამასთან მომხსენებელი აღნიშნავს ქარხნის მუშაობაში არსებულ მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

ამხ. ბალავაძე კონფერენციის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ოლქის მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ მთელი სიმძლავრით არ არის გამოყენებული მოწყობილობა, და საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს უფრო მეტად დაეხმარონ მუშათა ახალგაზრდა კადრებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, მეტი ადგილი დაუთმონ საწარმოო-ტექნიკურ პროპაგანდას, მხარი დაუჭირონ ნოვატორთა ყოველ თაოსნობას და ფართოდ დანერგონ იგი წარმოებაში.

მომხსენებელი აკრიტიკებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილებას, რომელმაც ვერ უზრუნველყო ტვირთბრუნვის გეგმის შესრულება.

ამხ. ბალავაძემ თავისი მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ქუთაისის ოლქის სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს და აღნიშნა, რომ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას თავისი მრავალფეროვანი დარგებით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ოლქის ეკონომიკაში. ჩატარებული მუშაობის შედეგად მიღწეულია ოლქის კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, მოსავლისა და შემოსავლის გადიდება. სოფლის მეურნეობის დარგში მიღწევები გაცილებით უფრო მეტი იქნებოდა, ადგილი რომ არ ჰქონოდა საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონის — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეშ დამახინჯებათა ფაქტებს.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან მომხსენებელი განსაკუთრებით ეხება ჩაის კულტურას. წელს გადაჭარბებით შესრულდა ჩაის პლანტაციების გაშენებისა და ნიადაგის მომზადების გეგმები, მაგრამ დიდი ჩამორჩენაა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში. 5 სექტემბრისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 69,8 პროცენტით.

ასეთი ჩამორჩენა საფრთხის წინაშე აყენებს ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულებას, რასაც პარტია ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეუერიგდება. ჩაის ფოთლის კრეფაში ძლიერ ჩამორჩენენ მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ცხაკაიის, ხობის, აბაშის და მთელი რიგი სხვა რაიონები. მეჩაიე რაიონების ბოლშევიკების სახელით ამოცანაა აუცილებლად შეასრულონ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გაუმჯობესდა სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ არის სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა და გამფლანგველთა საქმეების გაჭიანურების ფაქტები. ქუთაისის ოლქის პროკურორი ამხ. შ. რეხვიაშვილი და იუსტიციის სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ზამბახიძე არ იღებენ საჭირო ზომებს პროკურატურისა და სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ხოლო მილიციის საოლქო სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ასლანიკაშვილი სრულ უდარდელობას იჩენს. საჭიროა ფხიზლად ვიდგეთ საბჭოთა კანონიერების დაცვის სადარაჯოზე, გამოუმეღავნებელი და დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი ბოროტმოქმედი, რომელიც ხელჰყოფს სოციალისტურ საკუთრებას.

— პარტიის საოლქო კომიტეტმა, — ამბობს ამხ. ბალავაძე, — ერთგვარი მუშაობა გასწია პარტიული პროპაგანდის გაუმჯობესებისა და პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ეს განსაკუთრებით ითქმის ზუგდიდისა და გეგეჭკორის რაიონებზე.

ამხ. ბალავაძემ ვრცლად ილაპარაკა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიის რიგებში მიღება. შემცირდა პარტიის რიგების რაოდენობრივი ზრდით გატაცების ფაქტები და გაუმჯობესდა ახლად მიღებულთა თვისებრივი შემადგენლობა. მომხსენებელი აკრიტიკებს ჩხოროწყუსა და ქუთაისის რაიკომებს, რომლებიც ზოგჯერ არ იცავენ პარტიაში მიღების ბოლშევიკურ პრინციპს. საოლქო კომიტეტი პარტიის რიგების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა პარტიის რიგების გაწმენდისათვის შემთხვევითი პირების, სახელგატეხილი ადამიანების, მეკრთამეების, საზოგადო ქონების დამტაცებლებისა და საბჭოთა კანონიერების დარღვევებისაგან.

ქუთაისის საოლქო კომიტეტმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ მოჰკიდა ხელი მუშაობაში სტალინური ტრადიციების აღდგენას, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დანერგილი იყო დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა პარტიული ორგანიზაციების კავშირი მასებთან, გაძლიერდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. პირველადი პარტიული ორგანიზაციებს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, აგრეთვე პარტიის რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე გაბედულად და სამართლიანად აკრიტიკებდნენ პარტიის რაიკომებსა და ქალაქკომებს. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში ნაკლოვანებანი იყო. ჯერ კიდევ მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ეწყობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები წყალტუბოს, ამბროლაურის, აბაშის, ლანჩხუთის, სამტრედიის და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

შემდეგ ამხ. ბალავაძე ლაპარაკობს კადრებთან მუშაობის, კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ და აღნიშნავს, რომ კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოა. არის კადრების ხშირი ცვალებადობის ფაქტები. მართალია, ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააძლიერეს კომკავშირისადმი ხელმძღვანელობა, რის შედეგად კომკავშირული მუშაობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა, მაგრამ იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საქართველოს კომკავშირის წინაშე დასახული ახალი ამოცანების შესაბამისად ჯერ კიდევ არ არის გარდაქმნილი.

დასასრულ ამხ. ბალავაძე ამბობს, რომ პარტიის XIX ყრილობისათვის მზადება ყველგან გადაიქცა მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის—დიდი სტალინისადმი ჩვენი ხალხის სიყვარულისა და ერთგულების მძლავრ დემონსტრაციად. ქუთაისის ოლქის მშრომელნი მზად არიან ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელი ძალები მოახმარონ ახალი ხუთწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

შემდეგ კონფერენცია ისმენს საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის საანგარიშო (მომხსენებელი ამხ. ქ. ქობულია).

* * *

კამათში პირველი გამოვიდა პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. კუჭავა. მან ილაპარაკა იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი ეწევიან პარტიის XIX ყრილობის შესახვედრად. მთელმა რიგმა საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყრილობის აღსანიშნავად ახალი გადიდებული ვალდებულებანი აიღეს და წარმატებით მუშაობენ მათი განაღდებისათვის.

შემდეგ ამხ. კუჭავამ კონფერენციას მოუთხრო საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ წარმოებული მუშაობის შედეგებზე და გააკრიტიკა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ორგანოები, რომლებსაც ხშირად ლმობიერი გადაწყვეტილებანი გამოაქვთ ზოგიერთი დამნაშავის მიმართ.

პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. გობრონიძემ თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობას. რაიონი ჩამორჩა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულებაში. 5 სექტემბრისათვის რაიონს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული ჰქონდა მხოლოდ 75,5 პროცენტით. მან ეს ჩამორჩენა ძირითადად ახსნა მუშახელის ნაკლებობით და გვერდი აუარა სხვა მიზეზებს.

პარტიის გეგეჭკორის რაიკომის მდივანი ამხ. ე. ჯვებენავა შეეხო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტებს და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა მიმართ სათანადო ზომების მიღების მრავალი მაგალითი მოიყვანა.

პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანის ამხ. ე. ტაკიძის გამოსვლა საყურადღებო იყო იმით, რომ მან წინა პლანზე წამოსწია პარტიული მუშაობის საკითხები. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები, — განაცხადა ამხ. ტაკიძემ, — ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ, ნაკლებია მათი მაორგანიზებელი როლი, ისინი ღრმად ვერ სწვდომიან საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ რაიონში სეროზული ჩამორჩენაა ჩაის ფოთლის კრეფაში, არ სრულდება მეცხოველეობის განვითარების გეგმა, კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მთლიანად ლიკვიდირებული არ არის დებიტორული დავალიანება და სხვ. ამავამად რაიონული პარტიული ორგანიზაციები სეროზულ მუშაობას ეწევიან ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ და საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გ. ღოღობერიძემ აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის დაგეგმარების საკითხებს ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა. ოლქში დღემდე არ არსებობს დებულება საოლქო და რაიონული საგეგმო კომისიების მუშაობის შესახებ. ხშირია შემთხვევები, როცა რაიონების საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებს წყვეტენ მათს პირდაპირ მოვალეობას და არადანიშნულებისამებრ იყენებენ.

კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. კვარაცხელია აღნიშნავს, რომ კომკავშირის ორგანიზაციები სეროზულ მუშაობას ეწევიან. უმჯობესდება საწარმოებისა და კომეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. გაძლიერდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. მაგრამ ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არის სეროზული ნაკლოვანებანი. ზუგდიდის, ჭიათურის, აბაშის, ქვემო სვანეთის, ამბროლაურის, გეგეჭკორის და მთელ რიგ სხვა რაიონებში ახალგაზრდების ერთი ნაწილი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საკოლმეურნეო შრომაში. სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ 2 ათასამდე კომკავშირელი მოსწავლე დატოვებულ იქნა იმავე კლასში, ხოლო 5 ათასამდე კომკავშირელ მოსწავლეს მიეცა საშემოდგომო გამოცდა. სეროზული ნაკლოვანებებია ფიზკულტურისა და სპორტის საქმეშიც. ბევრგან კომკავშირის რაიკომის მდივნები მიმაგრებული არიან კოლმეურნეობებზე და საშუალება არა აქვთ უფრო ბეჯითად იმუშაონ თავიანთ პირდაპირ საქმეზე.

ქუთაისის ოლქის პროკურორი ამხ. შ. რეხვიაშვილი ლაპარაკობს იმ მუშაობაზე, რომელსაც სასამართლო-პროკურატურის ორგანოები ეწევიან საზოგადოებრივი ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ. იგი მთლიანად იღებს ამხ. ბალავაძის სამართლიან კრიტიკას იმის შესახებ, რომ ოლქის პროკურატურა ჯერ კიდევ ვერ უწევს სათანადო ზედამხედველობას მილიციის ორგანოებს, რომლებიც ხშირად აჭიანურებენ საქმეებს.

ქუთაისის საოლქო აღმასკომის ხელმძღვანელის საქმეთა განყოფილების გამგემ ამხ. ა. შანიძემ ილაპარაკა ოლქის თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესების საკითხზე. სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად გასულ წელს ქუთაისის მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დაიდგა რამდენიმე იდეურად მიუღებელი და მდარე ხარისხის სპექტაკლი. ამჟამად თეატრი ასწორებს ამ ხარვეზებს. ოლქის თეატრები და კულტურის სახლები აუმჯობესებენ რეპერტუარს, სპექტაკლების ხარისხს.

პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივნის ამხ. ბ. ბაქრაძის გამოსვლაში მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი ტყიბულელი ბოლშევიკების ბრძოლას ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის. როგორც ამხ. ბ. ბაქრაძემ განაცხადა, ტყიბულქვანახშირის ტრესტის მთელი კოლექტივი ამჟამად გაორკეცებული ენერგიით იბრძვის პარტიის XIX ყრილობასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად. განსაკუთრებით კარგად მუშაობს ლენინის სახელობის შახტი. შემდეგ ამხ. ბაქრაძე ლაპარაკობს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სამშენებლო სამმართველოს არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა პარტიის ცხაკაიის რაიკომის მდივნის ამხ. კ. ადამიას გამოსვლამ. მან თითქმის არაფერი თქვა იმაზე, თუ რატომ ჩამორჩება რაიონში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულება, ამასთან იგი შეეცადა უგულებელეყო საოლქო და რესპუბლიკური გაზეთების მართებული კრიტიკა.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები: ბ. ბუკია (ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი), ზ. კიკნაძე (პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი), დ. გეგეჭკორი (გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკის დირექტორი), ვ. ჩაკვეტაძე (ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ს. რუხაძე (პარტიის ქუთაისის რაიკომის მდივანი), შ. გოგეშელი (ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი), გ. პოლოვინი, ნ. ტყეშელაშვილი (პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი), გ. ჩაჩხიანი (პარტიის ცაგერის რაიკომის მდივანი), ზ. ჯაფარიძე (ტრესტ „ქუთაისმშენის“ მმართველი) და ბ. ლომიძე.

კონფერენციამ ქუთაისის საოლქო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი საოლქო კომიტეტის მომავალი მუშაობისათვის.

* * *

მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის შესახებ კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ჭანტურია.

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, — თქვა ამხ. ჭანტურიამ, — ქუთაისის ოლქის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შესახვედრად.

ამხ. ჭანტურიას მოჰყავს მრავალი კონკრეტული მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი მუშაობაა გაწეული საყრილობო მასალების შესასწავლად. მარტო ტყიბულში,—ამბობს იგი, —შექმნილია 110 წრე. ტყიბულელები გამოვიდნენ ყრილობისადმი მიძღვნილი შეჯიბრების ინიციატორებად ქუთაისის ოლქში და ოლქის ყველა საწარმოს მოუწოდეს მოიპოვონ ახალი შრომითი გამარჯვებანი. ტყიბულელ მეშახტეთა მიმართვას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, ენგურის ქაღალდის კომბინატისა და მთელ რიგ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

მძლავრი შრომითი აღმავლობაა საკოლმეურნეო სოფელშიც. ოლქის კოლმეურნეობები, მოწინავე მეჩაიეები, მევენახეები, მეცხოველეები თავდადებით იბრძვიან მაღალი მაჩვენებლების მოპრეკებისათვის.

სიტყვით გამოსულმა პარტიის თერჯოლის რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. სახეჩიძემ ილაპარაკა რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში ახალი შრომითი აღმავლობის შესახებ. მან თქვა: მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ყურძნის მოსავლიანობის 55-60 პროცენტით გადიდება. ამასთან დაკავშირებით წინადადება შემომაქვს თერჯოლაში აიგოს ყურძნის გადამმუშავებელი ქარხანა.

პარტიის ონის რაიკომის მდივანმა ამხ. კ. ქოქოსაძემ განაცხადა: იმისათვის, რომ ქუთაისის ოლქის ტერიტორია უკეთესად დაუკავშირდეს ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებს, საჭიროდ ვთვლი მამისონის უღელტეხილის მიმართულებით გაყვანილ იქნას საავტომობილო გზა.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველმა ამხ. შ. შეყლაშვილმა გააკრიტიკა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მარგანეცის შეუფერხებელ გადაზიდვას. შემდეგ ამხ. შეყლაშვილს შემოაქვს შემდეგი წინადადებანი:

შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით ახალ ხუთწლედში განხორციელდეს მარგანეცის ამოღებისა და გადამუშავების სრული მექანიზაცია; დაარსდეს ჭიათურაში მეტალურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც იმუშავებს მარგანეცის პრობლემების გადაჭრისათვის.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორმა ამხ. ი. კიკალეიძემ თქვა, რომ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 98,4 პროცენტი ჩაბმულია ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აქედან 400 მუშა ამჟამად პროდუქციას მომავალი წლის ანგარიშში იძლევა. ამხ. კიკალეიძე წინადადებას აყენებს გაფართოვდეს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, გაჩაღდეს ინტენსიური მუშაობა ფეროშენადნობთა ახალი სახეების შესაქმნელად.

კოლხიდმშენის სამმართველოს უფროსმა ამხ. ლ. კიკნაძემ კონფერენციის ყურადღება გამამახვილა იმაზე, რომ შემდგომ გაგრძელდეს და გაძლიერდეს კოლხიდის დაჭაობებული ადგილების ამოშრობის სამუშაოები, რაც სულ ცოტა 54.000 ჰექტარს აღუმატება. იგი წინადადებას აყენებს, რომ ახლად დასახლებული სოფლები უზრუნველყოფილ იქნან სასმელი წყალით, რისთვისაც მოითხოვს ამ სამუშაოთა უახლოეს ხანში დამთავრებას.

საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს აგრეთვე პარტიის ქლუხორის რაიკომის მდივანმა ამხ. ბ. ყანჩაველმა და სხვებმა.

საოლქო კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლითაც ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

შემდეგ კონფერენციამ განიხილა საკითხი პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტის შესახებ. ამ საკითხზე გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. შ. ჭანუყვაძე.

— დიდი და პასუხსაგები ის მოვალეობანი, რომლებსაც წესდების პროექტი პარტიის თვითეულ წევრს აკისრებს, — ამბობს ამხ. ჭანუყვაძე. — დიდი და ურყევია აგრეთვე ის უფლებანი, რომლებიც წესდების პროექტით პარტიის თვითეულ წევრს ენიჭება. პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი გამოხატავს ჩვენი პარტიის მიერ მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებებს, პარტიის წინაშე მდგომ ახალ ამოცანებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ პროექტი მხურვალე გამოხმაურებას პოულობს ფართო პარტიულ მასებში, ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელთა შორის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, ქუთაისის ოლქის რაიონულ და საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე განიხილეს და ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი. კომუნისტები მხურვალე პატრიოტული სიტყვებით გამოთქვამდნენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიისადმი, მზადყოფნას — აქტიურად იბრძოლონ ახალი ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის, მისწრაფებას — წმიდად ატარონ პარტიის წევრის მაღალი სახელწოდება. ამასთან ერთად აყენებდნენ საქმიან წინადადებებს.

სიტყვებით გამოსულმა დელეგატებმა მხურვალედ მოიწონეს პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი და წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი.

პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ტაბატაძემ აღნიშნა, რომ 286 აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ფართოდ აცნობს რაიონის მშრომელებს საყრილობო მასალებს. შექმნილია 53 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 1.041 კომუნისტი. საყრილობო მასალების შესწავლასთან დაკავშირებით მოეწყო პროპაგანდისტებისა და პარტორგანიზაციების მდივნების თათბირი, აგრეთვე აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ცანავამ რამდენიმე წინადადება შეიტანა პარტიის შეცვლილი წესდების პროექტში. ერთ-ერთი წინადადება მოითხოვს პარტიის წესდებაში ზუსტად იქნას განსაზღვრული კოლმეურნე კომუნისტთა საწევრო შესატანის ოდენობანი.

პარტიის წესდების პროექტში ცვლილებათა შესატანად მთელი რიგი წინადადებანი წამოაყენეს პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. კახიძემ, პარტიის წყალტუბოს რაიკომის მდივანმა ამხ. მ. ავალიანმა და პარტიის ჭიათურის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. აბესაძემ.

განხილული საკითხის გამო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ერთხმად იწონებს პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტს. კონფერენციამ საოლქო კომიტეტს დაავალა ზემდგომ პარტიულ ორგანოებს აცნობოს ყველა ის შენიშვნები და წინადადებანი, რომლებიც წესდების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით იქნა შემოტანილი. კონფერენციამ გაზეთ „სტალინელის“ რედაქციას დაავალა თავის ფურცლებზე მოაწყოს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დირექტივებისა და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტების ფართოდ განხილვა.

* * *

კონფერენციამ აირჩია საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის დელეგატებმა უდიდესი ერთსულოვნებით აირჩიეს პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი ი. ბ. სტალინი, ამხანაგი ლ. პ. ბერია, აგრეთვე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ი. მგელაძე.

მთელი დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებება ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) XV ყრილობის დელეგატად ერთხმად არჩეულია პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ამხანაგი სტალინი. XV ყრილობის დელეგატად არჩეული არიან დიდი სტალინის თანამებრძოლები ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ი. მგელაძე.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიიღო მისალმება

ფართოვდება შეჯიბრება XIX ყრილობის აღსანიშნავად

ლენინის სახელობის შახტაში

მესამე წელია ტყიბულის ლენინის სახელობის შახტზე კიაფობს წითელი ვარსკვლავი — შახტის კოლექტივის მიერ საწარმოო დავალებათა წარმატებით განაღდების სიმბოლო.

პარტიის XIX ყრილობისათვის მზადების დღეებს შახტის კოლექტივი მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებებით აღნიშნავს. რვა თვის საწარმოო დავალება ვადამდე შეესრულეთ, გეგმის გადამეტებით ამოღებულია რამდენიმე ათასი ტონა ქვანახშირი. მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა გავანაღდეთ 106,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 107,5 პროცენტით. მიმდინარე წლის განმავლობაში დავზოგეთ ოთხმოცი ათასამდე მანეთი, გავაუმჯობესეთ გამოღებული ქვანახშირის ხარისხი.

უკანასკნელი თვეები მეშახტეთა ცხოვრებაში აღინიშნა ახალი, პროგრესული მეთოდების გამოყენებით. გავითვალისწინეთ რა სტალინის სახელობის შახტის მდიდარი გამოცდილება, მარტიდან ერთ უბანში დავნერგეთ ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი, რამაც საგრძნობლად შეამცირა ქვანახშირის დანაკარგები. სექტემბრიდან კი ასეთი წესით იმუშავებს მე-3 უბანიც.

ჩვენთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ციკლური გრაფიკით მუშაობა, რომელსაც შევუდექით აგვისტოს პირველი რიცხვებიდან მე-2, მე-3 და მე-4 უბნების სამ ლავში. მუშაობის ეს მეთოდი დიდ ნაყოფს იძლევა. მომავალი თვიდან განზრახულია ციკლური გრაფიკით მუშაობაზე გადაყვანილ იქნას ახალი უბნის კიდევ სამი ლავი. ცალკეულ ჰორიზონტებზე ვაგონების ხელით გაგორება შეცვლილია ტრანსპორტიორებით, დამატებულია ელექტრობურღები, სანგრევი უროები, კუმში ჰაერით მომუშავე ბურღები.

შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების საუკეთესო მაგალითს იძლევა სამთო ტექნიკოსის შოთა შოთაძის უბანი, რომელმაც წელს სამჯერ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სამთო მოწყობილობათა გაუმჯობესებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში დიდ დახმარებას გვიწევს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების შემოქმედებითი აზრი. უკანასკნელ ხანში 60-ზე მეტი წინადადება შემოვიდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შ. შოთაძის წინადადებას, რომელიც ითვალისწინებს უბანში ტრანსპორტიორების დისტანციური მართვის მოწყობას. საყურადღებოა გზის ოსტატების კ. ქათამაძისა და დ. კუბლაშვილის წინადადება, რომელიც გააადვილებს ხე-ტყის გადაზიდვას. მ. სოფრომაძის წინადადება გაუმჯობესებს გამომუშავებული ლავების ამოვსებას და სხვ.

პარტიის XIX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ჩვენმა კოლექტივმა იკისრა ახალი საწარმოო ვალდებულებანი — ქვანახშირის ამოღების სექტემბრის გეგმა შეასრულოს 7 პროცენტის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა—5 პროცენტის გადაჭარბებით. გადავწყვიტეთ ქვანახშირის ამოღებისა და მოსამზადებელი სამუშაოების წლიური დავალება გავანაღდოთ 15 დეკემბრისათვის, დავზოგოთ ერთი მილიონი მანეთი.

ჩვენს ვალდებულებას შევასრულებთ, ღირსეული საწარმოო მაჩვენებლებით შევეგებებით პარტიის XIX ყრილობას!

ბ. ვაჭარაძე,
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის უფროსი.

ვალდებულებას წარმატებით ანაღდებენ

თბილისის მაკარონის ფაბრიკის კოლექტივმა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის თანხლენობის საპასუხოდ ფართოდ გააჩაღა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში აქ პირველი შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვეს—5 სექტემბრისათვის შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.000 ტონა მაკარონის ნაწარმისა გამოშვებულია 8.192 ტონა.

ფაბრიკის კოლექტივმა დამატებით ვალდებულება იკისრა 1 ოქტომბრამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 800 ტონა მაკარონის ნაწარმი, დაზოგოს 22 ტონა ფქვილი, 100 ტონა საწვავი და 110.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია. რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით, სამუშაო დროის შემჭიდროებით, მოწყობილობის მოცდენის შემცირებით 13,5 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, 2 პროცენტით შეამცროს პროდუქციის თვითღირებულება, 500 ათასი მანეთით გადაჭარბოს გეგმით გათვალისწინებულ დაგროვებას.

შეჯიბრებაში დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ნ. კენჭაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 9 თვის დავალება 5 სექტემბრისათვის შეასრულა, ნაცვლად 49 ტონა მაკარონის ნაწარმისა გამოუშვა 63 ტონა. ასეთივე მაჩვენებლებით შეასრულა გეგმა ს. ჯიხვიშვილის ბრიგადამ.

აღსანიშნავია საქვაბე საამქროს ბრიგადირ ვ. მიაგკოვას ვალდებულება. მან ბრიგადის სახელით იკისრა შეუფერხებლად მოამარაგოს წარმოება ორთქლით და სექტემბერში დაზოგოს 10 ტონა საწვავი.

ინდივიდუალური გეგმის შესრულებაში დაწინაურდნენ მშრობელი მ. ნემკინა, მწნეხავი ა. ზედგინიძე, შემფუთავი ა. მაჩაიძე, ყუთების შემკეთებელი გ. აბრამოშვილი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 160-170 პროცენტით ასრულებენ.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმა შეასრულოს ვადაზე ადრე, წლის ბოლომდე დაზოგოს ათობით ტონა ფქვილი და საწვავი და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს მრავალი ათეული ტონა მაკარონის ნაწარმი.

შრომითი ენთუზიაზმით

სეზონის დაწყების პირველი დღეებიდანვე დაწინაურდა ქობულეთის რაიონის ხუცუბნის ჩაის ფაბრიკა. აქ უკვე გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალებანი ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების მხრივ, როგორიც არის „ექსტრა“ და „საქართველოს თაიგული“. მაგრამ ხუცუბნელები მოპოვებული წარმატებებით როდი კმაყოფილდებიან. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს ჩვენი პარტიის მოძავალი ყრილობის აღსანიშნავად გააორკეცონ მუშაობა მეტი და საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის. ფაბრიკის მოწინავე სტახანოველები მ. ტუინოვა, ნ. პოპოვა, პ. ტიმოშენკო, ა. აბრამოვა ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მოწვევის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული მასალების გაცნობისას სოფელ აჭყვისთავის ედანრვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბალაძემ განაცხადა:

— ჩვენმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი გადამეტებით გაანაღდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გასული თვეების დავალება, მოკრიფა მხოლოდ პირველი ხარისხის ფოთოლი. პიროობას ვიძლევით, რომ კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას და ყრილობის გახსნის დღისთვის წლიური გეგმის გადამეტებით სამშობლოს მივცემთ სულ ცოტა 15 ათას კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

ჯიხანჯურის ტუნგოს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ვალდებულებაა ორასი ტონით გადაჭარბოს ტუნგოს მოსავლის გეგმას. მეურნეობის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლიმმანტრესტის ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობა. უხვი მოსავლის აღებისათვის აქ გამალებით ემზადებიან — არემონტებენ ავტომანქანებს, იძენენ ტუნგოს საკრეფ და გადასაზიდ ინვენტარს, წესრიგში მოჰყავთ პლანტაციებში მისასვლელი გზები, შეაკეთეს საშრობი ფარდულები.

მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში საახალო წარმატებებს აღწევენ აგრეთვე ჩაქვის ჩაის საწნეხ ფაბრიკაში და ოჩხამურის ტუნგოს ზეთსახდელ ქარხანაში. **(ჩვენი კორ.).**

მექანიზატორთა წვლილი

კომბაინერთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოვიპოვე. ნაკისრი ვალდებულება შევასრულე. 27 სამუშაო დღეში „სტალინეც—6“-ით 613 ჰექტარზე ავიღე მოსავალი.

ტრაქტორისტებში უდიდესი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცნობამ კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა ხალხის ახალ ბედნიერებაზე მეტყველებს. მექანიზატორებმა გადავწყვიტეთ საშემოდგომო ხვნა-თესვის დავალება ყრილობის გახსნის დღისთვის 120 პროცენტით შევასრულოთ, ამ ვალდებულებას წარმატებით ვანაღდებთ. მე ამჟამად მეორე სატრაქტორო ბრიგადას ვხელმძღვანელობ. უკვე მოხნული გვაქვს 300 ჰექტარი. ტრაქტორისტები ა. ჭიკაიშვილი და ფ. ჩალმაველი გეგმის გადამეტებით დღეში 3-4 ჰექტარს ხნავენ. მათ მიერ შესრულებული სამუშაო მაღალი ხარისხისაა.

ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ პარტიის ყრილობას ახალი წარმატებებით შეეხვედეთ.

ს. რამაზაშვილი,
ახმეტის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი.

გორის ბამბეულის კომბინატის კოლექტივი აქტიურად მონაწილეობს მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მრავალი ფეიქარი სტახანოვურ ვახტზე დგას და გამომუშავების ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. **სურათზე:** სართავი საამქროს მრთველი ნოელა მიქელაძე (მარცხნივ) და მოსამზადებელი საამქროს ამოიმხვევი თინა ოქროპირიძე. პირველი 30 პროცენტით აკარბებს დღიურ დავალებას, ხოლო მეორე—ნა პროცენტით.

ფოტო რ. აკოფოვისა.

გუდგარეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავის აღსანიშნავად სოფიაში გამართული საზეიმო კრების მონაწილეთა მიმართვა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების გაერთიანების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ი. ბ. სტალინს

მოსკოვი, კრემლი

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

ქალაქ სოფიის მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც საზეიმო კრებაზე შეიკრიბნენ იმასთან დაკავშირებით, რომ რვა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც უძლეველმა საბჭოთა არმიამ ბულგარეთი გაათავისუფლა ფაშიზმისა და იმპერიალისტური მონობისაგან, მხურვალე საბრძოლო სალამსა და უგულითადეს მადლობას გიძღვნიან თქვენ, ჩვენს მასწავლებელს, ბელადსა და მამას, და თქვენი მეშვეობით საბჭოთა ხალხებსა და სახელოვან საბჭოთა არმიას.

ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების მე-8 წლისთავს ვეგებებით ახალი მიღწევებით სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და მექანიზაციისათვის, მეცნიერების, ხელოვნებისა და კულტურის აყვავებისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის მუდმივი ამაღლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. მიმდინარე წელს ჩვენში სრულიად გაუქმდა საბარათო სისტემა და განხორციელდა ფართო მოხმარების საქონლის ფასების ახალი შემცირება. სახალხო ხელისუფლების მარტო 8 წლის მანძილზე ჩვენმა სამშობლომ, რომელიც ბურჟუაზიულმა ფაშისტმა მმართველმა მათხოვრობამდე მიიყვანეს, სრულიად შეიცვალა სახე და სწრაფად ძლევს თავის საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას.

მშვიდობისა და სოციალიზმის გზაზე ჩვენს ბედნიერ განვითარებას, ყველა ჩვენს წარმატებასა და მიღწევას უწინარეს ყოვლისა უნდა ვუმადლოდეთ დიდი საბჭოთა კავშირის ძმურ დახმარებას, მამობრივ ზრუნვას, რასაც თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მუდამ იჩენთ ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის.

დღითიდღე უფრო და უფრო მტკიცე ხდება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა, რომლის ცხოველმყოფელი სხივებიც ანათებენ სოციალიზმის ფართო გზას, მხსნელ გზას, რომლითაც მტკიცე რწმენით მიეყავართ ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის, გიორგი დიმიტროვის დიადი საქმის ღირსეული განმგრძობის — ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვის მეთაურობით.

ჩვენი მშრომელები სიხარულით ეგებებიან ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. უდიდესი ამოცანები, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივების პროექტით, აღგვაფრთოვანებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად დიმიტროვული ხუთწლედის ვადამდე — ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ხალხი, ვინც საკუთარ ხელში აიღო თავისი ბედი, მტკიცედ და ურყევად დგას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკში, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი, და არ დაიშურებს ძალღონეს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს ახალი მსოფლიო ომის გათავხედებულ გამჩაღებელთა და ბალკანეთში მათ მსახურთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაუმარჯოს და განმტკიცდეს მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი დასაყრდენი, ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ჩვენი ქვეყნის ბედნიერი სოციალისტური განვითარების დამცველი და გარანტია — უძლეველი საბჭოთა კავშირი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის გმირ კომუნისტურ პარტიას! ჯანმრთელად იყავით და დიდხანს, დიდხანს იცოცხლეთ ხალხთა საბედნიეროდ და მშვიდობის მტერთა თავზარდასაცემად, ძვირფასო ამხანაგო სტალინ — ჩვენო მასწავლებელო და ბელადო, ჩვენო იმედო და სასოებავ.

საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მერვე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება სოფიაში

სოფია, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც სოფიის მშრომელთა დეპუტატების საბჭომ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და სამამულო ფრონტის საქალაქო კომიტეტებმა მოაწყეს ომასთან დაკავშირებით, რომ რვა წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ბულგარეთი ფაშისტური დამონებისაგან.

სახალხო თეატრში მოვიდნენ მშრომელები, სახალხო არმიის, მასობრივი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სოციალისტური შრომის გმირები, დიმიტროვული პრემიის ლაურეატები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები, თავისუფლების დღის დღესასწაულზე სოფიაში ჩამოსული საზღვარგარეთელ მუშათა დელეგაციები.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ვილკო ჩერვენკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები გიორგი ჩანკოვი, ტოდორ ჟივკოვი, რაიკო დამიანოვი, ანტონ იუგოვი, გიორგი დამიანოვი, მინჩო ნეიჩევი, გიორგი ცანკოვი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ტრაიკოვი, ივანე მიხაილოვი, კარლო ლუკანოვი, სახალხო თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი პეტრე პანჩევსკი, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების მთავრობათა დელეგაციები, საზღვარგარეთელი სტუმრები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

პრეზიდიუმში ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, საბჭოთა მთავრობის დელეგაციის და დემოკრატიული ქვეყნების მთავრობათა დელეგაციების გამოჩენას ხვდებიან მქუხარე ტაშით და შეძახილებით სოციალიზმის ქვეყნის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ურღვევი ძმური მეგობრობის პატივსაცემად.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ივანე რაიკოვს წინადადება შეაქვს საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ყველა მშრომელთა გენიალური ბელადის, მშვიდობის მედროშის ი. ბ. სტალინის მეთაურობით. კრების მონაწილენი ერთსულოვნად დგებიან ფეხზე და ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ფაშისტური დამონებისაგან საბჭოთა არმიის მიერ ბულგარეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ანტონ იუგოვმა. ანტონ იუგოვს არაერთხელ შეაწყვეტინეს მოხსენება ტაშით.

დამსწრეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. პ. ტარასოვის მისასალმებელი სიტყვა. მ. პ. ტარასოვმა გამარჯვება უსურვა მშრომელთა ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, ბულგარელი ხალხის საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს და გიორგი დიმიტროვის საქმის ერთგულ განმგრძობს — ამხანაგ ვილკო ჩერვენკოვს, რასაც შეკრებილნი შეხვდნენ ხანგრძლივი ტაშითა და შეძახილებით: „სტალინი!“, „სტალინი მშვიდობაა!“, „სამარადისო მეგობრობა!“, „სტალინი — ჩერვენკოვი!“.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ჩინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა ბულგარეთში ცაო სიან-ჟენმა, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა, ჩეხოსლოვაკიის ეროვნული კრების თავმჯდომარემ და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრმა ოლდრიხ ნონმა, აგრეთვე სხვა მთავრობათა დელეგაციების მეთაურებმა, რომელნიც სოფიაში ჩამოვიდნენ ბულგარეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავის დღესასწაულზე.

საზეიმო კრების მონაწილეებმა განსაკუთრებული ენთუზიაზმითა და აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება ი. ბ. სტალინს.

მოსავლის დღის დღესასწაული პოლონეთში

ვარშავა, 8 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ კრაკოვში გაიმართა მოსავლის დღის დღესასწაული. პოლონეთის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ აქ გლეხთა დელეგაციები — სულ დაახლოებით 100 ათასი კაცი. დღესასწაულზე ჩამოვიდნენ აგრეთვე პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბოლესლავ ბერუტი, მთავრობის წევრები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და გაერთიანებული გლეხთა პარტიის მთავარი აღმასრულებელი კომიტეტის წევრები.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ბ. ბერუტმა. აღნიშნა რა პოლონელი ხალხის ისტორიული მონაპოვარნი, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ეს მონაპოვარნი იმის შედეგია, რომ საბჭოთა კავშირმა გაანადგურა გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი, რამაც ბოლო მოუღო ჰიტლერელ ავაზაკთა ბარბაროსულ ტირანიას.

მსოფლიოში პირველმა მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ, თქვა ბერუტმა, დახმარება გაუწია დამონებულ პოლონელ ხალხსა და სხვა ხალხებს, გაათავისუფლა ისინი ფაშისტური მონობისაგან, ამის მეოხებით ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღო ხალხმა, ლიკვიდირებულ იქნა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა სისხლის ფასად დაუბრუნა საბჭოთა კავშირის მეომართა თავგანწირული ბრძოლით განთავისუფლებულ ქვეყნებში, და ამ ქვეყნებში გაიმარჯვა თავისუფლებამ და სამართლიანობამ.

ჩვენი ქვეყნის სწრაფი ეკონომიური და კულტურული განვითარების წყაროსა და საფუძველს წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ძალაუფლება, სახალხო პოლონეთის მზარდი მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა იმ ქვეყანასთან, სადაც ხელისუფლების სათაურში ხალხი დგას.

ბერუტი აღნიშნავს, რომ სახალხო ხელისუფლების ურყევ საფუძველს პოლონეთში წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირი, სახალხო პოლონეთის ყველა მშრომელთა ერთიანობა.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ემუქრება ხარბი და გაუმაძღარი ამერიკის იმპერიალიზმი, ემუქრება რევანშის მოსურნე ჰიტლერიზმი, რომელსაც აღორძინებენ ამერიკელი მაგნატები, გენერლები და ავანტიურისტები. მაგრამ სახალხო ხელისუფლება, რომელიც მუშათა და გლეხთა კავშირს ეყრდნობა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მოძღვრებისადმი ერთგული მოწინავე პარტია პროლეტარიატისა და რომელიც თავისუფლების და მშვიდობის მთელი ბანაკის ურყევ სოლიდარობას ეყრდნობა, მტკიცე და უძლეველია.

ბერუტი აღნიშნავს იმ ფაქტის დიდ სიმბოლურ მნიშვნელობას, რომ მოსავლის დღეს პოლონელი ხალხი დღესასწაულობს კრაკოვში, სადაც იქმნება უდიდესი მეტალურგიული კომბინატი ნოვა გუტა, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის განვითარების საფუძველი იქნება.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის არჩევნებისათვის მზადების ისტორიულ დღეებში, აღნიშნავს პრეზიდენტი, პოლონელმა ხალხმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დარაზმოს თავისი რიგები. ეროვნული ფრონტის შექმნა ესოდენ ფართო წარმომადგენლობით უდიდესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა პოლონეთის ცხოვრებაში. იგი მოწმობს პოლონელი ხალხის იდეურ და პოლიტიკურ სიმწიფეს, მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის კავშირის ძლიერებას, მათს ურთიერთ ნდობას, მათს შინაგან ერთიანობას, როცა საქმე ეხება სამშობლოს საარსებო ინტერესებს.

ბერუტი გამარჯვებას უსურვებს ეროვნულ ფრონტს, მშვიდობის დიდ მედროშეს, მთელი პროგრესული კაცობრიობის მეგობარს ი. ბ. სტალინს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას.

დღესასწაულზე გამოვიდნენ მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლები, რის შემდეგაც გაიმართა გლეხთა კოლონების მსვლელობა, რამაც ცხადყო სახალხო პოლონეთის სოფლის მეურნეობის მიღწევები. ზეიმის მონაწილეები აცხადებდნენ ლოზუნგებს პოლონელი ხალხის ბელადისა და ხელმძღვანელის ბოლესლავ ბერუტის პატივსაცემად, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხელმძღვანელთა პატივსაცემად, ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 8 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 8 სექტემბრის ცნობაში ნათქვამია:

კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ, ამასთან ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 2 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 6 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგცემს:

ლონდონის გაზეთ „დეილი უორკერის" კორესპონდენტი ალან უინინგტონი პანმუნჯონიდან იუწყებოდა, რომ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე ამერიკის დელეგაციის ნეოთაური ჰარისონი 4 სექტემბრის სხდომაზე იმუქრებოდა ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ბაქტერიოლოგიური ომის გაფართოებას. უინინგტონის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ომის სხვა საშინელებათა გარდა, „ჩრდილოეთ კორეის ხალხს, როგორც ჰარისონმა გენერალ ნამ ირს უთხრა, დასტანჯავს ეპიდემიები", თუ კორეელებმა და ჩინელებმა ხელი არ აიღეს თავიანთ ტყვეებზე და არ მიიღეს ამერიკის ულტიმატუმი. ჰარისონის სიტყვა, რომელიც მთლიანად მუქარისა და პროპაგანდისტულ განცხადებათაგან შედგებოდა, უხვად შეიცავდა ანტიკომუნისტურ გამოხდომებს. ჰარისონს სრულიად არ უცდია შეთანხმება ერთაფერთ საკითხზე, რომელიც ხელს უშლის დაზავებაზე შეთანხმების ხელმოწერას, და მოითხოვა მოლაპარაკების შეწყვეტა კიდევ ერთი კვირით.

გენერალმა ნამ ირმა განუცხადა ჰარისონს: ვერაკეთარი სიცრუე ვერ დაფარავს იმ ფაქტს, რომ ამერიკელები აკავებენ ტყვეებს, აჭიანურებენ მოლაპარაკებასა და ომს. „თქვენ,—თქვა ნამ ირმა,—მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენთ. თქვენი ეგრეთწოდებული მოკავშირეების ხალხები და თქვენი საკუთარი ქვეყნის ხალხი დღითიდღე უფრო გაბედულად იბრძვიან თქვენს წინააღმდეგ და მოითხოვენ დაუყოვნებლივ დაზავებას. მათ შეგნებული აქვთ, თუ რა საზიზღარი ხასიათის არის კორეის წინააღმდეგ ეს აგრესიული ომი. თქვენ მსოფლიოს ყველა ხალხის წინააღმდეგ იღაშქრებთ". გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა, რომ უხეში ცდები— ჩაშალონ კორეა-ჩინეთის მეგობრობა მხოლოდ და მხოლოდ ინტერვენტების სასოწარკვეთილების ნიშანია.

გენერალმა ნამ ირშა მოითხოვა, რომ ჰარისონმა გადასინჯოს სამხედრო ტყვეების სიები და მოაახდინოს ტყვეთა რეპატრიაცია ენენეის კონვენციისა და დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტის შესაბამისად.

ჰარისონის განცხადებამ ცხადყო ამერიკელთა ნამდვილი მოპყრობა სამხედრო ტყვეებისადმი, რომელთა დაკავებასაც ისინი ცდილობენ. ჰარისონმა განაცხადა, რომ სამხედრო ტყვეები, რომლებზეც ლაპარაკია, „ეს მხოლოდ უბრალო ჩინელ ჯარისკაცთა მცირე რიცხვია, მათი უმეტესობა მდარე ხარისხის ადამიანებია". ამ უპრინციპო და რასისტული წანამძღვარის მიხედვით, იგი იმუქრებოდა ჩრდილოეთ კორეის მთელი მოსახლეობის მოსპობას, თუ კორეისა და ჩინეთის მხარე ამერიკელთა დიქტატს არ დაემორჩილება.

ჰარისონმა მიმართა ახალ ხრიკს: მან თქვა, რომ მზად არის შეასრულოს დაზავებაზე შეთანხმების პროექტის 51-ე პარაგრაფის პირობები, მაგრამ ამტკიცებდა, ამერიკელებს სულ მხოლოდ 83 ათასი ტყვე ყავთო.

პასუხად გენერალმა ნამ ირმა განაცხადა, რომ ამერიკელებმა უნდა მოახდინონ დაახლოებით 116 ათასი ტყვის რეპატრიაცია, მათ შორის 20 ათასი ჩინელისა.

მოლაპარაკებაში არავითარი პროგრესი არ იქნა მიღწეული.

ამერიკის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმები კორეის ქალაქებსა და სოფლებზე

ფხენიანი, 7 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის ბომბდამშენები, მოიერიშეები და ავიაგამანადგურებლები ყოველდღე ბარბაროსულად ესხმიან თავს კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. გუშინ დღისით ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს აღმოსავლეთი სანაპიროს მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს, ქალაქების სარიონისა და ანჯუს რაიონებსა და სხვა პუნქტებს.

6 სექტემბერს ღამით ამერიკის „ბ-29" მარკის ბომბდამშენებმა რამდენიმე ასეული ბომბი დააყარეს გორაკებსა და სოფლებს ფხენიანის ჩრდილოეთით. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით დანგრეულია გლეხთა ბევრი შენობა და მიწურები მთების ფერდობებზე, მოკლული და დაჭრილია ბევრი მშვიდობიანი მცხოვრები—გლეხები და ფხენიანიდან გამოქცეული ლტოლვილები. დიდ ფართობზე განადგურებულია ბრინჯის, გაოლიანისა და სიმინდის ნათესები.

ფხენიანის მცხოვრებნი უდიდესი გულისწყრომით შეხვდნენ ამერიკის ავიაციის ამ ახალ ბარბაროსულ თავდასხმას.

ამერიკის შეერთებული შტატები დამპალ ხორბალს აწვდიან ინდოეთს

დელი, 8 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ფრი ფრეს ჯორნელი", იუწყება, რომ სესხის საფუძველზე ინდოეთში გაგზავნილი ამერიკული ხორბლის 50 პროცენტი დამპალი და სახმარად უვარგისი აღმოჩნდა. დანარჩენ ხორბალში ბევრია ნაგავი.

„სპეციალისტების კომისიამ, — აღნიშნავს გაზეთი, — დიდი უკმაყოფილება გამოთქვა ასეთი ხორბლის ყიდვის გამო. კომისიას მიაჩნია, რომ ეს საჩუქარი არ არის, რადგან ამ ხორბალში მთავრობა ფულს იხდის და ფული უნდა გადაიხადოს მომხმარებელმაც. კომისიამ აგრეთვე საჭირო ღონისძიებად მიიჩნია, რომ გაყიდვის წინ ხორბალი გულმოდგინედ გადაარჩიონ".

ბონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ!

ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების დასავლეთ გერმანიის ორგანიზაციის თავმჯდომარის განცხადება

ბერლინი, 9 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის საგენტო გადმოგვცემს ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების დასავლეთ გერმანიის ორგანიზაციის თავმჯდომარის ოსკარ მიულერის განცხადებას. ოსკარ მიულერმა დაახასიათა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ამოცანები ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კვირეულის მოწყობასთან დაკავშირებით.

მიულერმა აღნიშნა, რომ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კვირეულის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ოთხმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, რომლებსაც როგორც გერმანიის, ისე მთელი ევროპის ხალხებისათვის მოაქვთ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების საფრთხე.

სწორედ ისე, ნათქვამია მიულერის განცხადებაში, როგორც პაპენი, შლაიხერი და ჰიტლერი ფაშისტური ტერორის მეთოდებით ცდილობდნენ გაენადგურებინათ დემოკრატიისა და ანტიფაშიზმის ძალები, დღეს ადენაუერი, ლერი და კაიზერი ცდილობენ წყართვან ხალხს ყველა დემოკრატიული უფლება.

აღნიშნა რა, რომ ბონის ხელისუფლები ცდილობენ აკრძალონ გერმანიის კომუნისტური პარტია, დემოკრატიული ორგანიზაციები, ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანება, და ამავე დროს ხელს უწყობენ ნეოფაშისტურ ტერორისტულ ორგანიზაციებს, მიულერმა გაიხსენა, რომ როგორც წარსულის გამოცდილება გვასწავლის, გერმანიის კომუნისტური პარტიისა და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების აკრძალვით უნდა დაიწყოს ყველა ომთი დევნა და დაპატიმრება, ვინც არ დაეთანხმება ბონის პოლიტიკოსების გეგმას.

ამასთან დაკავშირებით, განაცხადა მიულერმა, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კვირეულს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას სამი დასავლეთი სახელმწიფოს მთავრობებისადმი, მიულერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ნოტის მნიშვნელობა ამჟამად სწორედ ის არის, რომ იგი უჩვენებს მთელ გერმანელ ხალხს გერმანიაში, აგრეთვე მთელ ევროპაში მშვიდობის მიღწევის გზას. ამიტომ საერთაშორისო კვირეულმაც უნდა ჩაიაროს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისათვის საბჭოთა კავშირის წინადადებათა უდიდესი მნიშვნელობის განმარტების ნიშნით.

სამხედრო დამნაშავე შახტს ნება დართეს გახსნას თავისი ბანკი

ბერლინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ცნობილმა სამხედრო დამნაშავემ საიმპერიო ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა იალმარ შახტმა გადაწყვეტა გაეხსნა თავისი „საგარეო ვაჭრობის ბანკი" 1 მილიონი მარკა კაპიტალით. ამ მიზნით მიმართა ჰამბურგის სენატს და სთხოვა ბანკის გახსნის ნებართვა, მაგრამ სენატმა ვერ მიიჩნია შესაძლოდ ამ თხოვნის დაკმაყოფილება, და შახტმა უარი მიიღო. მაშინ მან სასამართლოში უჩივლა ჰამბურგის სენატს. როგორც დასავლეთ გერმანიის საგენტო დპა იუწყებოდა, ჰამბურგის ადმინისტრაციულმა სასამართლომ შახტის სარგებლოდ გადაწყვიტა საქმე. ჰამბურგის სენატს წინადადება მიეცა მისცეს შახტს ნებართვა გახსნას ბანკი „იალმარ შახტი და კომპანია" და, გარდა ამისა, აანაზღაუროს სასამართლოს მთელი ხარჯები.

ლაიპციგის 1952 წლის საერთაშორისო ბაზრობაზე

ბერლინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). ლაიპციგის საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც გუშინ გაიხსნა, უდიდეს ინტერესს იწვევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობაში. ბაზრობაზე, გარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, ფართოდ არიან წარმოდგენილი საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. ბაზრობაზე თავისი ექსპონატები გამოფინა აგრეთვე 13 კაპიტალისტურმა ქვეყანამ. აქ სულ სხვადასხვა საქონელი აქვს გამოტანილი სხვადასხვა ერის 8 ათას წარმომადგენელს.

ბაზრობის ცენტრალურ რაიონშია საბჭოთა კავშირის პავილიონი. ეს პავილიონი იპყრობს ყველას ყურადღებას, ვინც კი ბაზრობაზე ჩამოდის. აქ ექსპონირებულია დონეცის ქვანახშირის კომბაინები, ახალი სამშენებლო მექანიზმები, სხვადასხვა მარკის ავტომობილები და ტრაქტორები, ურთულესი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ახალი კონსტრუქციის ჩარხები და აპარატურა.

მნახველები დიდხანს აკვირდებიან ქვანახშირის კომბაინს, შახტის ელექტრომავალს, სამშენებლო მექანიზმებსა და სხვ.

დიდი პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე ჩინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის პავილიონები.

თავს დაესხნენ ინდოეთის კომპარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს

დელი, 8 სექტემბერი. (საკდესი). თავს დაესხნენ ინდოეთის პარლამენტის კომუნისტური პარტიის ლიდერს სუნდარაიას და ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის დეპუტატ კომუნისტ რავი ნარაიან რედის. თავდასხმა მოხდა სოფელ ნიდამანურში, რომელიც ნალგონდიდან 40 მილზე მდებარეობს. სუნდარაია და რედი დაჭრილი არიან.

ინდოეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა აჯოი გხოშმა ინახულა სოფელი ნიდამანური. მან განაცხადა, რომ 5 სექტემბრის დილით 40 კაცი თავს დაესხა ჰაიდერაბადის სახალხო-დემოკრატიული ფრონტის ადგილობრივი კომიტეტის შენობას იმ დროს, როცა კომიტეტის წევრთა უმრავლესობა მონაწილეობას იღებდა წინასაარჩევნო კამპანიაში. შენობაში მყოფი რედი და სუნდარაია დაჭრეს. რედი სერიოზულად დაჭრილია თავში, ხოლო სუნდარაია ფეხში, ხელსა და ზურგში. გხოშმა განაცხადა, რომ უკანასკნელ რამდენიმე კვირაში ასეთი თავდასხმა მოხდა სახალხო-დემოკრატიული ფრონტის უმეტეს ადგილობრივ კომიტეტებზე.

გხოშმა მოითხოვა, რომ ინდოეთის მთავრობამ გამოიკვლიოს ტელეგრაფში არსებული ვითარება, სადაც წარმოებს ჰაიდერაბადის საკანონმდებლო კრების ხელახალი არჩევნები.

გაიხსნა ქიუღიენ ღიაოს ძეგლი

ბრიუსელი, 8 სექტემბერი. (საკდესი). 7 სექტემბერს ქალაქ სერენის (ლიეჟის პროვინცია) სასაფლაოზე ზეიმით გაიხსნა ძეგლი ბელგიის კომპარტიის ყოფილი თავმჯდომარის ჟიულიენ ლიაოსი, რომელიც ფაშისტმა ბანდიტებმა ავადაკურად მოკლეს 1950 წლის 18 აგვისტოს.

დილადანვე სერენში ბელგიის ყოველი კუთხიდან შეიკრიბა ათასობით მშრომელი.

დილის 11 საათზე ქალაქში დაიწყო დემონსტრაცია. დემონსტრანტთა მრავალათასოვანი კოლონა, რომელსაც კომპარტიის ხელმძღვანელები მეთაურობდნენ, კილომეტრზე მეტ მანძილზე გაიჭიმა. ქალაქის მოძრაობა შეჩერებულ იქნა. მოქალაქეთა ჯგუფები ტროტუარებს ავსებდნენ. ქალაქის სასაფლაოზე ჟიულიენ ლიაოს საფლავთან, რომელზეც აღმართულია ძეგლი, შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ბელგიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ლალმანმა.

პროლეტარიატის მოქმედების ერთიანობა, როგორც ხშირად მოგვაგონებდა ხოლმე ჟიულიენ ლიაო, თქვა ლალმანმა, გადამწყვეტი ელემენტია მშვიდობის მტრების წინააღმდეგ ძლევამოსილ ბრძოლაში.

ამ მხრივ ბელგიაში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი... გრანდიოზული საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებიც ამას წინათ მოეწყო სამხედრო სამსახურის ვადის გადიდებისა და ომისათვის მზადების მთელი პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობის ბანაკის მნიშვნელოვანი წარმატებაა.

„ინტერნაციონალის" ხმებში ძეგლს ჩამოხადეს საფარველი და შეკრებილთა წინაშე წარმოდგა ჟიულიენ ლიაოს სახე.

კვარცხლბეკზე წერია: „ჟიულიენ ლიაოს — ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს, ბელგიის მუშათა კლასისა და საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელ შვილს, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის დაუცხრომელ ნებრძოლს, რომელიც ხალხის მტრებმა გვრაგუულად მოკლეს 1950 წლის 18 აგვისტოს".

გაზეთ „ღუმანიტეს" დღესასწაული

პარიზი, 7 სექტემბერი. (საკდესი). პარიზისა და პროვინციის მშრომელები დღეს შეიკრიბნენ პარიზის გარეუბანში, ვენსენის ტყეში, გაზეთ „ლუმანიტეს" ტრადიციულ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

შეკრებილნი დიდი ინტერესით გაეცნენ მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილ მრავალ სტენდსა და გამოფენას. მათ უჩვენეს საბჭოთა კინოფილმი „დიდი კონცერტი" და მოაწყეს სასპორტო შეჯიბრება.

16 საათსა და 30 წუთზე გაიხსნა მასობრივი მიტინგი. შეკრებილნი გულთბილად მიესალმებიან ქაკ დიუკლოს, ანდრე მარტისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელთა გამოჩენის ტრიბუნაზე.

კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ეტიენ ფაჟონმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე, აღნიშნა გაზეთ „ლუმანიტეს" თვალსაჩინო როლი მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ფრანგ მშრომელთა ბრძოლაში.

აღნიშნა რა მშვიდობის ბანაკის ძალთა ზრდა, ფაჟონმა განაცხადა: „საკავშირო კ. პ. (ბ) მომავალ XIX ყრილობასთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ ვადასტურებთ ჩვენს სოლიდარობას საბჭოთა კავშირთან, რომლის წინააღმდეგაც ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს, ვადასტურებთ უსაზღვრო ნდობას დიდი სტალინისადმი, რომელიც ფხიზლად დგას მშვიდობის სადარაჯოზე".

მიტინგის მონაწილე მრავალი ათასი კაცის მქუხარე ტაშმა დაფარა ორატორის საბოლოო სიტყვები: „გაუმარჯოს სტალინს!", „გაუმარჯოს კომუნიზმს!".

გაზეთ „ლუმანიტეს" ტრადიციული დღესასწაული გადაიქცა ახალ ბრწყინვალე მანიფესტაციად ფრანგ მშრომელთა მტკიცე მისწრაფებისა —გზა გადაუღობონ ომსა და ფაშიზმს, დაიცვან საკუთარი სამშობლოს მშვიდობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ხალხთა მშვიდობის დაცვის მომავალი კონგრესისათვის

ვენა, 7 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ავსტრიის მშვიდობის მომხრეთა საბჭო იუწყება, მას ყოველდღე მოსდის სხვადასხვა საწარმოთა კოლექტივებისაგან წერილები და რეზოლუციები, რომლებითაც მუშა-მოსამსახურეები მხურვალედ მიესალმებიან მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებას — მოწვეულ იქნას ვენაში ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესი.

მაგალითად, ლიზინგის (ვენის რაიონი) ფირმის „ლიხტმეტალის" კოლექტივის კრებაზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კონგრესს უდიდესი მნიშვნელობა ექნება მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ამიტომ ყველა მშვიდობისმოყვარე ავსტრიელი უდიდესი სიხარულით ხვდება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებას და ვალდებულებას კისრულობს კონგრესისათვის მზადების პროცესში კიდევ უფრო გაძლიერის ბრძოლა მშვიდობისათვის, დასაცავად ავსტრიაში ამერიკელთა საომარი მზადების წინააღმდეგ.

შტადლაუს მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთი რაიონის ქუჩებში დაგეს სტენდები, რომლებზეც გაკრულია გაზეთებიდან და ჟურნალებიდან ამოჭრილი სტატიები და ფოტოსურათები ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მომზადების შესახებ.

ალექსანდრიაში საგანგებო წესები შემოიღეს

დელი, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დელის რადიო იუწყება, ალექსანდრიაში გამოცხადდა, რომ იქ შემოღებულია საგანგებო წესები როგორც „გამაფრთხილებელი ღონისძიება" ორი ფეიერი მუშის სიკვდილით დასჯის შემდეგ შესაძლო არეულობის წინააღმდეგ.

სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება სრულიად უნგრეთის მშვიდობის დაცვის მე-3 კონგრესის მოწყობის შესახებ

ბუდაპეშტი, 7 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა სრულიად უნგრეთის მშვიდობის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბუდაპეშტში 22 და 23 ნოემბერს მოეწყოს სრულიად უნგრეთის მშვიდობის დაცვის მე-3 კონგრესი.

მზადება აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესისათვის

პეკინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს: ლათინური ამერიკის ბევრმა ქვეყანამ — მექსიკამ, გვატემალამ, კოლუმბიამ, სალვადორმა, ჰონდურასმა, ჩილემ, პერუმ, ეკვადორმა და პანამამ — აირჩია დელეგაციები აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა მომავალი კონგრესისათვის, რომელიც პეკინში შედგება.

ჩილის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის 140 განყოფილება ემზადება მშვიდობის მომხრეთა მომავალი კონგრესისათვის. სხვადასხვა პროვინციებში ჩაღდება „მშვიდობის მომხრეთა პეკინის კონგრესის მისალმებაზე" ხელმოწერის შეგროვების კამპანია. მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მომწვევი მოსამზადებელი კომიტეტი კამპანიას ეწევა ბაქტერიოლოგიური ომისაგან მზადების მთელი პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობის ბანაკის მნიშვნელოვანი წარმატებაა.

„ინტერნაციონალის" ხმებში ძეგლს ჩამოხადეს საფარველი და შეკრებილთა წინაშე წარმოდგა ჟიულიენ ლიაოს სახე.

კვარცხლბეკზე წერია: „ჟიულიენ ლიაოს — ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარეს, ბელგიის მუშათა კლასისა და საერთაშორისო პროლეტარიატის საყვარელ შვილს, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის დაუცხრომელ ნებრძოლს, რომელიც ხალხის მტრებმა ვგრაგუულად მოკლეს 1950 წლის 18 აგვისტოს".

მგზავრობა ეგვიპტეში

ბეირუთი, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დღეს ბეირუთის რადიო იუწყება, ეგვიპტეში მოხდა ახალი დაპატიმრებანი. დაპატიმრებულთა რიცხვმა 70 კაცს მიაღწია.

საქართველოს რადიოგადაცემათა 11 სექტემბრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1,571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები; 07.30 — მუსიკალური ანტრაქტი; 07.40 — პიონერთა დაფიონი; 09.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 11.00 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები; 11.25 — **საუბარი:**— „ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე" (ძერჟინსკის დაბადების 75 წლისთავის გამო); 11.40 — ვალსები; 12.15 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; 12.45 კამერული მუსიკის კონცერტი; 17.15 —საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 17.40 —გადაცემა მოსწავლეთათვის; 18.15 — ქართული მუსიკის კონცერტი; 19.20 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 19.30 — თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა გუნდების მატჩის ტრანსლაცია მოსკოვიდან.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით: 20.00 — ვერდის ოპერა „აიდა"; 1-ლ ანტრაქტში საუბარი: „ხალხთა მეგობრობის დიდი მომღერალი", მე-2 ანტრაქტში ლიტერატურული გადაცემა: შალვა გოზალიშვილის წერილი—„ი. ჭავჭავაძე და ირიდიონ ევდოშვილი"; 00.05 — პოპულარული მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

გრიბოედოვის სახელობის—დირექტორი (აბონემენტი 13, 14); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გაქვავებული ქალაქი (აბონემენტი 46, 49, დასაწყისი დილის 10, საათზე, ფილარმონიის შენობაში), ბაში-აჩუკი (აბონემენტი 38, 53, დასაწყისი საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, თეატრის შენობაში); **მუსკომედიის** — თბილისის ცის ქვეშ; **სანკულტურის** — ჩვენი ახალგაზრდობა.

კალათბურთელთა ასპარეზობა სსრ კავშირის 1952 წლის პირველობისათვის

მესამე დღე

ერევანი, 8 სექტემბერი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). დღეს ქვეჯგუფებში მონაწილე გუნდებისათვის შედგა უკანასკნელი კალენდარული შეხვედრები. კალათბურთში. ქალთა გუნდებს შორის მორიგი გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1951 წლის ჩემპიონმა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა და გავიდა ნახევარ ფინალურ ჯგუფში. მოსკოველებმა მოიგეს შეხვედრა როსტოვის „ისკრასთან" ანგარიშით 68:19.

მესამე გამარჯვება მოიპოვა ზედიზედ და ნახევარ ფინალურ ჯგუფში გავიდა აგრეთვე თბილისის „ნაუკას" ქალთა გუნდი; 8 სექტემბერს თბილისელებმა გაიმარჯვეს ბაქოს „ისკრასთან" ანგარიშით 60 : 50.

წარმატებით იბრძვის თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდი, რომელმაც მესამე კალენდარული შეხვედრა მოიგო ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან ანგარიშით 63 : 20.

მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა მოსკოვის ვვს-ისა და ოდესის „პიშჩევიკის" ვაჟთა გუნდების შეხვედრა, რომელიც მოსკოველების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 47:43.

ტარტუს უნივერსიტეტის სპორტული კლუბისა და მოსკოვის „სპარტაკის" ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ტარტუს სპორტსმენებმა ანგარიშით 60 : 45.

თბილისის „ნაუკას" ვაჟთა გუნდმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ლენინგრადის ოფიცერთა სახლის გუნდთან ანგარიშით 49 : 45. და ამით დაიკავა პირველი ადგილი თავის ქვეჯგუფში.

მეოთხე დღე

ერევანი, 9 სექტემბერი. („კომუნისტის" სპეც. კორ.). დამთავრდა შეჯიბრება ქვეჯგუფებში ქალთა 12 და ამდენივე ვაჟთა უძლიერესი კოლექტივების გამოსაკვლევნებლად. ჩატარებულმა შეხვედრებმა ცხადყვეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე კალათბურთელთა საუკეთესო ტექნიკური და ფიზიკური მომზადება.

საქართველოს კალათბურთელების სამივე გუნდმა თავიანთ ქვეჯგუფებში მოიპოვეს პირველობა და გავიდნენ ნახევარფინალურ ჯგუფში. პირველობის გათამაშების დებულებით შედგენილია სამი ვაჟთა და ამდენივე ქალთა ნახევარფინალური ჯგუფი, რომლებშიაც გაერთიანებულია ოთხ-ოთხი გუნდი. თბილისის „დინამოს" ვაჟთა გუნდთან ერთად პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში მოხვდნენ მოსკოვის ვვს-ი, რიგას „დაუგავა" და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები.

მეორე ჯგუფში პირველობისათვის იბრძვიან მოსკოვის „დინამოს", თბილისის „ნაუკას", ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტისა და კიევის ოფიცერთა სახლის გუნდები.

თბილისის „ნაუკას" ქალთა გუნდი ნახევარფინალურ ჯგუფში თამაშობს ლენინგრადის „ისკრასა" და „სპარტაკის," აგრეთვე ტარტუს უნივერსიტეტის გუნდებთან.

9 სექტემბერს გაიმართა ნახევარფინალური ჯგუფების პირველი შეხვედრები. მოსკოვის „დინამოს" ვაჟთა გუნდმა მოიგო თბილისის „ნაუკას" ახალგაზრდა კოლექტივი ანგარიშით 47 : 34.

ლენინგრადის „სპარტაკისა" და „ისკრას" ქალთა გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს ისკრელებმა (53:43.) თბილისის „ნაუკას" ქალთა გუნდმა წაგო ტარტუს უნივერსიტეტის გუნდთან (44:47).

დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის უძლიერესი კოლექტივების თბილისის „დინამოს" და მოსკოვის ვვს-ის ვაჟთა გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 46 : 43. კაუნასის „ჟალგირისის" ვაჟთა გუნდმა მოუგო ოდესის „პიშჩევიკს" ანგარიშით 63 : 34.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი სევასტოპოლში

სევასტოპოლი. („კომუნისტის" კორ.). რამდენიმე დღის წინათ აქ საგასტროლოდ ჩამოვიდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით.

ანსამბლის კონცერტებმა დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ქართულ ეროვნულ ცეკვებს—„ქართულს", „სამაიას", „საკოლმეურნეოს", „ხორუმს", აგრეთვე თბილისურ სახასიათო ცეკვებს.

სევასტოპოლში ანსამბლი ჩამოვიდა ვოლგის-პირა მხარეში და რსფსრ ცენტრალურ ოლქებში თითქმის სამი თვის საგასტროლო მოგზაურობის შემდეგ. აქედან ანსამბლი მიემგზავრება ყირიმის ზღვისპირა კურორტებზე, შემდეგ სოჭაში, რის შემდეგ დაბრუნდება თბილისში.

მეშახტეების სანატორიუმი წყალტუბოში

წყალტუბო. („კომუნისტის" კორ.). მთავრდება მეშახტეებისათვის ახალი ოთხსართულიანი სანატორიუმის მშენებლობა არქიტექტორების გ. ხიმშიაშვილისა და ს. ლენტოვსკის პროექტით. ეს სანატორიუმი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება წყალტუბოში. მას ეკენება 300 ოთახი, სვეტებიანი დარბაზი სასადილოსათვის, საკონცერტო დარბაზი, ჰიგიენური აბანოები, სამკურნალო კაბინეტები, ცენტრალური გათბობა, ლიფტი, ტელეფონი, რადიოკვანძი.

ამჟამად მიმდინარეობს შენობის შიგნითა მოპირკეთება, აივნებისა და ფასადის ორნამენტებით გაფორმება.

აუზომობილები კოლმეურნეობებისათვის

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის (ცეკავშირი) გამგეობამ წელს უკვე მიიღო და კოლმეურნეობებს მიჰყიდა 522 ცალი სატვირთო, აგრეთვე 4 ცალი „პობედის" და 12 ცალი „მოსკვიჩის" მარკის მსუბუქი ავტომანქანა.

კოლმეურნეობებისათვის მისასყიდად ავტომობილების შემოზიდვა კვლავ გრძელდება. წლის ბოლომდე ცეკავშირი დამატებით შემოიტანს და თავისი სავაჭრო ქსელის საშუალებით კოლმეურნეობებს მიჰყიდის 213 სატვირთო და 30 მსუბუქ ავტომანქანას.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი: მოწინავე — წარმატებით შეეგებოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმა.

დეპეშების გაცვლა ი. ბ. სტალინსა და ვიოლო ჩერვენკოვს, ნ. მ. შვერნიკსა და გიორგი დამიანოვს, ა. ი. ვიშინსკიასა და მინჩო ნეიჩევს შორის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ნაციონალური დღესასწაულის გამო.

საერთო სათაურით „ამიერკავკასიის მეტალურგების შეჯიბრება საკ. კ. პ. (ბ) XIX ყრილობის აღსანიშნავად" წერილები: ზესტაფონი — ალავერდი. სუმგაიტელთა წერილის პასუხად.

მეორე გვერდი: საერთო სათაურით „პარტიის XIX ყრილობის შესახვედრად" სტატიები: ა. ქოჯიანი — განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა ქვემოდან. ბ. ჩიტაშვილი — კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ პარტიის წევრის წ